დანართი N

კონფლიქტოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების მეორე საფეხური

ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს VII დონე

2022

I. შესავალი

კონფლიქტოლოგიის დარგობრივი მახასიათებელი აკადემიური განათლების სტანდარტია, რომელიც კონფლიქტოლოგიის სფეროს მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგებს, ამისთვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს და ამ შედეგების მიღწევისათვის საჭირო სწავლა სწავლების და შეფასებების მიდგომებს.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 7 წელი.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა Subject benchmark Statement of Conflictology.

კონფლიქტოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო (მეორე საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას, მისანიჭებელი კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას, მათ პროფესიულ დასაქმებას, კონფლიქტების მართვისა და ანალიზის კვლევების პროგრამაში ჩართვას. კონფლიქტოლოგიის დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი იძენს კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ.

Commented [U1]: სასურველია რომ ამ პროგრამის მიზანში იყოს წარმოდგენილი თუ რა რისკების, გამოწვევების და საფრთხეების პრევენციას ემსახურება ამ მიმართულების მაგისტრების მომზადება. მაგალითად შეიძლება იყოს დასახელებული შესაბამისი დოკუმენტები ისეთი როგორიცაა „ეროვნული უშიშროების კონცეპცია“, „საფრთხეების დოკუმენტი“....

Commented [U2R1]:

Commented [U3R1]:

Commented [ar4R1]: არაა ეთიკური, რომ მხოლოდ ბაზრის მოთხოვნილებებზე იყოს გამახვილებული ყურადღება იმ ვითარებაში, როდესაც საქართველო იმყოფება მორიიგი ომის ზღვარზე.

Commented [ar5R1]:

კონფლიქტოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

I. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;

II. პირთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან შეისწავლონ კონფლიქტების მართვა, ანალიზი და იკვლიონ კონკრეტული შემთხვევები დაკავშირებული კონფლიქტების მოგვარებასთან, რათა დაეუფლონ ცოდნას, უნარებს და შეიძინონ მაღალკვალიფიციური კომპეტენცია, როდესაც დაასრულებენ კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას;

III. კონფიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმნათლებლო პროგრამით დაინტერესებული სტუდენტებისტვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;

IV. დამსაქმებლებისთვის, რომლებსაც სურთ ქონდეთ ინფორმაცია, კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგნმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულტა კომპეტენციების შესახებ; განათლების სფეროს ექსპერტთათვის რომლებსაც პერიოდულად ევალებათ კონფლიქტოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი გაზიარებული და დაცული უნდა იქნეს ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, რომლის ფარგლებში ხორციელდება კონფლიქტოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები. კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დეტალური შინაარსი, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საქართველოში მოქმედი ყველა კანონის დაცვით.

დარგობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს პერიოდულად, მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების და შეფასების პროცედურების საფუძველზე.

კონფლიქტოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის განახლების საფუძველია აღნიშნულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოყვანა, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

II. სწავლის სფეროს აღწერა

კონფლიქტოლოგია სისტემური მდგომების გამოყენებით შეისწავლის სხვადასხვა სახის კონფლიქტის მართვას: წარმოშობის მიზეზებს, დიაგნოსტირებას, განვითარების დინამიკას, მოგვარებას, დარეგულირების პროცესს, დაპირისპირებული მხარეების ქმედებას, კონფლიქტის გადაჭრისა და ტრანსფორმირების სხვადასხვა მეთოდებს, მშვიდობის მშენებლობას.

კონფლიქტოლოგია ინტერდისციპლინური დარგია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის კონფლიქტებს მათ შორის - პიროვნებათშორის, ჯგუფურს, ორგანიზაციულს, სახელმწიფოთაშორის, სამხედრო, გლობალურ და ლოკალურ დაპირისპირებებს. კონფლიქტოლოგიის სფეროში ერთიანდება კონფლიქტების პრევენციის, მოგვარების, დარეგულირების და ტრანსფორმაციის გზები, კონფლიქტის მართვა, ანალიზი, მშვიდობის მშენებლობა, პოსტკონფლიქტური რეაბილიტაცია და სხვა. ამ სახის კონფლიქტების შესწავლა, ანალიზი და დარეგულირება ხორციელდება შემდეგი საშუალებებით: მოლაპარაკება, ფასილიტაცია, მედიაცია, პარტნიორობა, ვალდებულებით არბიტრაჟი, მრავალარხიანი დიპლომატია და სხვა ალტერნატიული მეთოდები. კონფლიქტოლოგიის პროგრამა უზრუნველყოფს ჩამოთვლილი საშუალებების შესწავლას და მათ ეფექტურ გამოყენებას პრაქტიკაში. მნიშვნელოვანია სამხედრო კვლევების შესრულება კონფლიქტებთან მიმართებით, რომელიც არა მხოლოდ თეორიულ სფეროს ეხება, არამედ კონფლიქტების დარეგულირების უშუალო პრაქტიკულ სფეროსაც.

კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხელს უწყობს კონფლიქტების მართვის, ანალიზის, ტრანსფორმაციის და დარეგულირების შესახებ ცოდნის დაუფლებას, რაც ეფექტური საშუალებაა მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის. ამ პროგრამის კურსდამთავრებული ეფექტიანია პროფესიის დაუფლების და დასაქმების კუთხით.

სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან სხვადასხვა სფეროს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის ან სხვადასხვა კარიერული გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც იზიარებენ მთავარ იდეას, ხელი შეუწყონ მშვიდობიანი გზით კონფლიქტის სისტემურ მოგვარებას.

კონფლიქტოლოგიის პროგრამა ხასიათდება ინტერდისციპლინარული მიდგომით და ეფუძნება გამოცდილებით სწავლებას. იგი ავითარებს სტუდენტების ანალიტიკურ და პრაქტიკულ უნარებს, რაც მათ სჭირდებათ ყველა დონეზე კონფლიქტის გადაჭრისას, იქნება ეს ინტერპერსონალური, ლოკალური, სახელმწიფოთაშორისი, რეგიონალური და გლობლური კონფლიქტები. კონფლიქტოლოგიის ინტერდისციპლინარული პროგრამა ამზადებს სტუდენტებს სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობისათვის, რომლებიც მოიცავენ უსაფრთხოების, განათლების, ადამიანური რესურსების, საჯარო მმართველობის და სხვა საკითხებს.

კონფლიქტოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები, შეისწავლის რა კონფლიქტებს, მჭიდროდაა დაკავშირებული სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებთან. კონფლიქტების ანალიზი და მართვა

Commented [U6]: მთელი ჩამონათვალი რომელიც აქაა წარმოდგენილი, წარმოდგენს სოციალური მეცნიერებების ქვესისტემებს. ამავე დროს კონფლიქტოლოგია სცილდება მხოლოდ სოციალური მეცნიერების ჩარჩოს. და მისი ინტერდისციპლინურიბა შეეხება იას, რომ საბუნებისმეტყველო მიმართულებებია მნიშვნელოვანი - ზოოკონფლიქტები და ასევე ადამიანის და გარემოს ურთიერთობები - ეკოკონფლიქტოლოგია. ასევე ფსიქოლოგიური კონფლიქტები, ანუ - ინტრაპერსონალური. თუ ამის აღნიშვნა არ გსურთ ამ პროგრამაში, მაშინ ეს პროგრამა არის სოციალური კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პორგრამა და არა ზოგადად კონფლქიტოლოგიის პროგრამა.

Commented [U7R6]:

Commented [U8]: არაა აქ პრევენცია და პოსტ-კონფლიქტური რებილიტაცია, პოსტ-კონფლიქტური განვითარება - მიუხედავად იმისა, რომ წინა შეხვედრებზე ეს ჩვენი მხრიდან იყო დაფიქსირებული.

Commented [U9R8]:

Commented [U10]: ინტრაპერსონალურით უნდა იყოს დაწყებული ჩამონათვალი. ფსიქოლოგიური კონფლიქტების იგნორირება დაუშვებელია. ამიტომ ჩამონათვლაი უნდა დაიწყოს არა ინტერ, არამედ ინტრაპესონალური კონფლიქტებით.

პროგრამა ამ სახელწოდებით არ შეიძლება ატარებდეს ანტროპოცენტრისტულ ხასიათს. მე წინა შენიშვნებშიც ეს მქონდა აღნიშნული, მაგრამ არაა დოკუმენტში ასახული.

Commented [U11R10]:

განსხვავებული მეცნიერებების მონაცემებს ეყრდნობა, შესაბამისად, პროგრამა იყენებს მონაცემებს ისეთი სფეროებიდან, როგორიცაა სოციოლოგია, პოლიტიკის მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი, ფსიქოლოგია, ისტორია, კულტურის კვლევები, თავდაცვის და უსაფრთხოების კვლევები, ეკონომიკა და ა.შ.

ინტერდისპლიურობიდან გამომდინარე, კონფლიქტოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები შესაძლებელია მოიცავდნენ სასწავლო კურსებს და კონფლიქტების საკვლევ თემატიკას შემდეგი მომიჯნავე დისციპლინებიდან: სოციოლოგია, პოლიტიკის მეცნიერება, ფსიქოლოგია, სამართალი, სამხედრო კვლევები, ეკონომიკა და ა.შ. შეუძლებელია ვისაუბროთ კონფლიქტოლოგიაზე, კონფლიქტების შესწავლის ფართო სისტემაზე (რომელშიც შედის სხვადასხვა სახის კონფლიქტები და რომლის მთავარი არსი მდგომარეობს დაპირისპირებული მხარეების ქმედების შესწავლაში, დიაგნოსტირებაში და მათი დარეგულირების პროცესში) მოცემული დარგებისგან განყენებულად. შესაბამისად, კონფლიქტოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების ინტერდისციპლინურობიდან და შინაარსიდან გამომდინარე, მისი სწავლის დეტალურ სფეროდ უნდა განისაზღვროს - 0388 ინტერდისციპლინური, რომელიც მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას.

Commented [U12]: არაა საჭირო ჩამოთვლა იმიტომ რომ ეს იწვევს ფავორიტიზმს - რაღაც მიმართუელბების დომინირებას და რაღაცის დისკრიმინაციას. ჯობს რომ აქ იყოს ჩამონათვალი ზოგადი დარგების - სოციალური, ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებები.

Commented [U13R12]:

Commented [U14]: აი ეს საერთოდ ყველანაირ ლოგიკასაა მოკლებული, როდესაც ინტერდისციპლინურში არის ასეთი ჩამონათვალი. ეს კლასიფიკატორის ხარვეზია, მაგრამ აქ ეს ულოგიკო ჩამონათვ ალი - სოციალური მეცნიერება, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა მეჩვენება სრულიად ზედმეტად.

Commented [U15R14]:

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მოცემულ სფეროში იმ ცოდნის, უნარების და ღირებულებების შეძენა/განვითარებაზეა მიმართული, რომელიც სტუდენტს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე სწავლის დასრულებისას. დარგობრივ მახასიათებელში განსაზღვრულია მინიმალური სავალდებულო სწავლის შედეგებიებს. უსდ-ს შეუძლია, საკუთარი, საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

3.1. კონფლიქტოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

<u>კურსდამთავრებული:</u>

- სიღრმისეულად აანალიზებს კონფლიქტების კვლევისა და მართვის სფეროში არსებულ მრავალმხრივ, ძირითად და სისტემურ თეორიულ მიმართულებებს და პრობლემებს; კონფლიქტების ანალიზის, დარეგულირების და მოგვარების კომპლექსურ საკითხებს და პრაქტიკული საქმიანობის შესაძლებლობებს;
- არსებული ცოდნით ინოვაციურ იდეებს შეიმუშავებს;
- კონფლიქტების კვლევის მეთოდების გამოყენებით ამუშავებს ემპირიული მასალას და კონფლიქტებს აანალიზებს დამოუკიდებლად;
- გეგმავს, ატარებს და ხსნის (ინტერპრეტირებს) ფუნდამენტური და პრაქტიკული ხასიათის, მეცნიერულ თუ პრაქტიკულ კვლევებს დამოუკიდებლად;
- ცოდნაზე დაფუძნებული ახალი იდეების შეჯამებით, კონფლიქტური სიტუაციის დიაგნოსტირებით, გამოყოფს პრობლემას და დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე ეძიებს პრობლემური სიტუაციის ახლებურად გადაჭრის გზებს;
- პრაქტიკული ან სამეცნიერო მუშაობისთვის მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ამზადებს წერილობით ნაშრომს/პროექტს და ზეპირ ანგარიშებს, წარუდგენს დაინტერესებულ პირებს;
- ერთვება რეალური კონფლიქტის მოგვარებაში, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;
- გეგმავს საკუთარი სწავლის პროცესს მიზანმიმართულად, შემდგომი სწავლის გაგრძელების საჭიროებებიდან გამომდინარე, პროფესიული სრულყოფის მიზნით, ცვალებად გარემოსთან მიმართებით;
- მოქმედებს პროფესიული ეთიკის პრინციპების შესაბამისად, იცავს და ავრცელებს მშვიდობიანი თანაარსებობის ღირებულებს ;
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრონციპების დაცვით განსაზღვრავს საკუთარი და სხვების სწავლის საჭიროებებს, გემავს აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

კონფლიქტოლოგიის სწავლის სფეროს შესაბამის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ქვემოთჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი კვალიფიკაცია:

ა) ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით (ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი კონფლიქტოლოგიაში);

Commented [U16]: ხომ ხედავთ აქ გაქვთ მითითებული და სწორედ ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი კონფლიქტოლოგიაში, ესეიგი ზევით ჩემს მიერ წარმოდგენილი შესწორებები ზუსტად ამ პუნქტს ითვალისწინებენ. ზედა ნაწილი ტექსტის უნდა იყოს ამ მიმართულების კონგრუენტული. კარგია რომ ხაირსხი მიენიჭებათ სხვადასხვა სპეციალობების და სპეციალიზაციების მიხედვით.

ბ) მეცნიერების მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით (მეცნიერების მაგისტრი კონფლიქტოლოგიაში)

გ) მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით (კონფლიქტოლოგიის მაგისტრი).

კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან, სტრუქტურიდან და მიზნებიდან გამომდინარე.

თუ კონფლიქტოლოგიის სწავლის სფეროს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებზე, კულტურებისა და ზოგადად სფეროს თეორიულ შესწავლაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი კონფლიქტოლოგიაში;

თუ პროგრამა ორიენტირებულია კურსდამთავრებულებს გამოუმუშავოს სამეცნიერო, კვლევითი და ტექნიკური ექსპერტიზის უნარები ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით: „მეცნიერების მაგისტრი კონფლიქტოლოგიაში".

დეტალური სწავლის სფეროს მითითებით მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება იმგვარ პროგრამებში სადაც აქცენტი კეთდება პრაქტიკაზე და პროფესიაში პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე.

Commented [U17]: საბუმებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების ხსენება არარის არსად. კონცენტრირებულია სოციალურ მეცნიერებებზე, აქ შეეხეთ ჰუმანიტარულსაც. მაგრამ - კონფლიქტების მათემათიკური მოდელირების მიმართულებას სად ვსვავთ? იკარგება ბევრი მიმართულება.

Commented [U18R17]:

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, შერჩეული იყოს რელევანტური სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგების შეფასების ადეკვატური მეთოდები.

სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები ძირითადად სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზეა დაფუძნებული. ეს მეთოდები უზრუნველყოფს სპეციფიკური მასალის ათვისებას და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

Commented [U19]: დალია ამ მიდგომამ „ჩაილურის წყალი", მოძველდა. სისტემოცენტრიზმი და ჰოლიზმია მოდაში. რედუქცონიზმა დაგავანგრია... სისტემის ცალკეულ კომპონენტზე ორიენტაცია თავის საფუძველშივე წაროადგენს კონფლიქტზე ორიენტაციას. გვიღირს ამაზე კამათი? მიეცით თავისუფლება ყველა მიმართულებას.

Commented [U20R19]:

Commented [ar21R19]:

სტუდენტების შეუძლიათ ახალი ინფორმაციის მოძიება, ანალიტიკური გადამუშავება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, მათი კრიტიკული შეფასება და ცოდნის გაღრმავება. სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლების შესაბამისი საფეხურის მოთხოვნები. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს პრობლემაზე და კვლევაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდების გამოყენებაზე, რაც სტუდენტს მისცემს საშუალებას დამოუკიდებლად განივითაროს კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარები.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლებისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ლექტორსა და სტუდენტს შორის ორმხრივ კომუნიკაციას. რაც ლექტორის მხრიდან უკუკავშირის ვალდებულებას გულისხმობს და მომავალში სტუდენტს აძლევს იმის საშუალებას, რომ სტუდენტმა განსაზღვროს საკუთარი ცოდნა, უნარები და ღირებულებები. სტუდენტის შეფასება კი ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის კურუკულიმით და სასწავლო კურსის სილაბუსით.

სტუდენტების შესაფასებლად გამოიყენება მრავალკომპონენტიანი შეფასება, რომელსაც გაზომვადი კრიტერიუმები განსაზღვრავს. სტუდენტთა შეფასება ეფუძვნება ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობას, სანდოობას, ვალიდურობას და გამჭვირვალობას.

სწავლა-სწავლების და შეფასების ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები ყველაზე გავრცელებული ფორმებია, თუმცა უსდ-თვის ისინი სარეკომენდაციო ხასიათისაა. კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, ან დაემატოს სხვა მეთოდები.

სწავლა-სწავლების და სტუდენტთა შეფასების მეთოდების შერჩევისას მნიშვნელოვანია მიღწეულ იქნეს წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაში უნდა იყოს სწავლის შესაბამის საფეხურთან, კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებთან და შინაარსთან. ამ მეთოდებმა უნდა განსაზღვროს არა მარტო მზა ცოდნის მიღება, არამედ უნარების ჩამოყალიბებაც.

სწავლა-სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოფდეს სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლის მეთოდების ერთობლიობა კი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლა-სწავლების მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებას.

სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული აქტივობები ურთიერთშემავსებელია და შესატყვისობაშია ერთმანეთთან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა აქტივობებს მათი კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სწავლა-სწავლების მეთოდები შეიძლება შემდეგ მოიცავდეს:

- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი;
- წიგნზე მუშაობა; წერითი მუშაობა;
- ვერბალური ახსნა-განმარტება;
- დემონსტრირება;
- შემთხვევის ანალიზი;
- დამოუკიდებელი სწავლა;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- ევრისტიკული მეთოდი
- გუნდური/თანამშრომლობითი მუშაობა;
- დისკუსია/დებატები;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- გონებრივი იერიში;
- პროექტის შემუშავება;
- დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება);
- პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, სასწავლო პრაქტიკა, როლური თამაშები, სიმულაციები);
- პრეზენტაციები;
- ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსებით სწავლება);
- და სხვა.

Commented [U22]: კონფლიქტოლოგიისათვის განსაკუთრებულია - მოდელირება, იმიტაციები და სიმულაციები (ერთ-ერთი ქვემოთ არის, აქ არა)

Commented [U23R22]:

Commented [ar24R22]:

სტუდენტის შეფასება მათი კომპონენტები და მეთოდები კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შეფასება უნდა განხორციელდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამების თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (დამოუკიდებელი, შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლოა მოიცავდეს შეფასების

კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის/უნარის/კომპეტენციის შეფასების ხარისხს:

- ზეპირი გამოცდა;
- წერითი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერითი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- თეორიული სამუშაო;
- პრაქტიკული სამუშაო;
- სხვა.

ასევე შესაძლებელია შეფასების კომპონენტებში გაერთიანდეს შეფასების ერთგვაროვანი მეთოდები, როგორიცაა:

- ტესტი;
- ქვიზი;
- ღია კითხვა;
- ესე;
- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია ქართულ და უცხო ენაზე;
- მოხსენება;
- რეფერატი(წერითი ნაშრომი);
- კითხვა-პასუხი;
- პრაქტიკული დავალების შესრულება;
- თეორიული დავალების შესრულება;
- ჯგუფური დავალების შესრულება;
- დისკუსია-დებატებში მონაწილეობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- როლური თამაში;
- სიმულაცია;
- აქტიურობა პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას;

Commented [U25]: ეს სისტემაც მოძველებულია. აქ უნდა იყოს ადგილი როგორც ჰიბრიდული ისე მხოლოდ ელექტრონული შეფასებებისათვისაც. ის ამაზრზენი კონფლიქტი რომელიც მოხდა თსუ-ს 1 კორპუსში - არის სიმპტომი იმის, რომ ჩვენ არასაკამრისად ვითვალისწინებთ დღეს არსებულ რეალობებს.

Commented [U26R25]:

Commented [ar27R25]:

- შესრულებული პრაქტიკული სამუშაოების დემონსტრირება;
- სხვა.

Commented [U28]: სამაგისტროსთვის შეიძლება იყოს ასევე სამეცნიერო-პოპულარული და სამეცნიერო სტატიები...

Commented [U29R28]:

შეფასების კრიტერიუმები საზომი ერთეულებითაა განსაზღვრული, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია პრაქტიკული უნარების განვითარება, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან. პრაქტიკული კომპონენტის კონკრეტულ მოდელი, მისი შინაარსი და ფორმა, აირჩევა უსდ-ის შეხედულებით, მათი რესურსების, ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ხედვის და კონცეფციების საფუძველზე.

პრაქტიკული კომპონენტის მოდელებია:

- თეორიულ პროგრამაში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტი;
- დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსები;
- აქტიური პრაქტიკა სხვადასხვა პროფილურ დაწესებულებებში (შესაბამისი პროფილის სამინისტროები, მედიაციის სამსახურები, საადგილობრივი და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.);
- და სხვა.

კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ძირითადად თეორიულ კურსში ჩაშენებულ~~ი~~ პრაქტიკულ ელემენტს ეხება. ეს არ გამორიცხავს სხვა მოდელების გამოყენებას. ამგვარად, პროგრამის თეორიულ კურსში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტი~~,~~ ფოკუსირებული უნდა იყოს იმ თემატიკაზე, რომელსაც სასწავლო კურსი ეხება და ინტენსიური ხასიათი უნდა ქონდეს. ასეთი სახით სტუდენტი ერთვება პრაქტიკულ აქტივობაში პროგრამის სწავლების საწყისიდანვე და ის პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე გადასვლი საფუძველს წარმოადგენს.

კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარება სტუდენტებში. ამ კუთხით პროგრამაში შემოტანილი უნდა იქნეს კვლევითი კომპონენტის განმავითარებელი კურსები. უნდა ისწავლებოდეს კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, კვლევის დიზაინი და სხვა.

Commented [U30]: პროგრამა

Commented [U31R30]:

პროგრამების დასრულებისას კვლევითი კომპონენტების გამოყენებით უნდა მოხდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა საჯაროდ უნდა მიმდინარეობდეს და ნებისმიერ

დამსწრეს შეეძლოს დისკუსიაში ჩართვა. ნაშრომების დაცვის კომისიაში შესაძლოა შედიოდნენ როგორც პროგრამის განმახორციელებლები, ასევე მოწვეული და გარე ექსპერტებიც.

VI. დამატებითი ინფორმაცია

კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას შესაძლოა უზრუნველყოფდეს კონფლიქტების დარეგულირების და მართვის სფეროში მომუშავე კვალიფიციური პერსონალი, რომლებიც შესაძლოა კონფლიქტების საკვლევ სფეროსთან სხვა მომიჯნავე დარგების წარმომდგენლებიც იყვნენ. ეს განპირობებულია თვით პროგრამის და დარგის (კონფლიქტოლოგიის) ინტერდისციპლინური ხასიათით. პროგრამების განმხორციელებლები შეიძლება იყვნენ უსდ-ის აკადემიური პერსონალი და ასევე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი. მათ უნდა უზრუნველყონ პროგრამების მდგრადი, სტაბილური, ეფექტიანი ფუნქციონირების და შედეგებზე ორიენტირებული ცოდნის გადაცემა.

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1. დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	გუგული მაღრაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების პროფესორი
2	ივანნა მაჩიტიძე	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლის ასოცირებული პროფესორი საერთაშორისო

Commented [ar32]: რაც შეეხება სოხუმის უნივერსიტეტიდან შემოსულ წინადადებას, „საუნივერსიტეტო დიპლომატიასთან“ დაკავშირებით. 2013 წლიდან კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს საუნივერსიტეტო დიპლომატიის ცენტრი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს სხვა უნივერსიტეტებთან, მათ შორის სოხუმის უნივერსიტეტთან. ეს ცენტრი ასევე წარმოადგენს საერთაშორისო კონსორციუმს „უნივერსიტეტები მშვიდობისათვის“. ამ კონსორციუმის ინიციატივით, ტარდება რეგულარული ღონისძიებები. ბოლო საერთაშორისო კონფერენციაზე, მიღებულია უპრეცენდენტო რეზოლუცია, რომელიც გულისხმობს შავი ზღვის აკადემიური დიპლომატიის კომისიის შექმანს და ასევე საქართველოს, უკრაინის და ლიტვის უნივერსიტეტების ინიციატივით მზადდება სპეციალური გაროს რეზოლუციის პროექტი, რომელიც წარედგინება შესესაბამის საგარეო საქმეთა სამინისტროებს. თრგმანი შეგიძEიათ იხილოთ მისამართზე - https://www.facebook.com/alexander.rusetsky.5?comment_id=Y29tbWVudDoxMDIyNDQ4NjkyNjkxNDQ3NF80Mzk4MzU5ODQyODQ0MDA%3D
კონფლიქტების პოზიტიური ტრანსფორმაციის მიმართულებით მიმდინარე კვლევებში, შოთა რუსთაველის მეცნიერების ეროვნული ფონდის ჩარჩოში 2021 წელს გამოცემულია მონოგრაფია „მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“, კსუ-ში დაშვებულია სილაბუსი - “მეტადიპლომატია - დიპლომატიური სპეციალობების სამყარო“ https://www.rav2021.com/_files/ugd/ff9281_53e8d0be355d4e3bbaf4c54946462884.pdf
, ხოლო წმინდა თამარის სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტში უშუალოდ საგანი „საუნივერსიტეტო დიპლომატია“. ამიტომ ჩვენი რჩევაა, რომ იყოს გამოყენებული ტერმინი მეტა-დიპლომატია, რომელიც შეიცავს თავის თავში სხვა ზემოთ წარმოდგენილ ტერმინებს. ამ ნაშრომებში თქვენ ასევე შეგიძლიათ იხილოთ ცნება - ჰოლისტური კონფლიქტოლოგია. ჩვვენ გირჩევთ რომ ამ მეცნიერების განვითარების პარადიგმა წარიმართოს ჰოლისტურ და არა რედუქციონისტულ მიდგომებს. გვაქვს იმედი, რომ ეს ...

Commented [ar33R32]: ჩვენ მივესალმებით კონფლიქტოლოგიის დარგობრივი საბჭოს შექმნის ინიციატივას და გვაქვს წინადადება, რომ შეიქმნას კონფლიქტოლოგის ეთიკის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს კონფლქიტოლოგის პროფესიული ქცევების რეგულაციას. სახელდობრ, იქნება სასურველი რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ამ დოკუმენტსი ინტერესთა კონფლიქტის საკითხს. გვაქვს იმედი რომ ზემოთ წარმოდგენილი ჩვენი ხედვები არ იქნება იგნორირებული. სამწუხაროდ, რამოდენიმე წინადადება რომელიც ზემოთ არის წარმოდგენილი პირველ სეხვედრაზე არანაირად არაა ასახული ამ ტექსტში.
...

Commented [ar34R32]:

Commented [ar35R32]:

			ურთიერთობების მიმართულებით
3	ნოდარ ტანგიაშვილი	შპს ბრიტანულის სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	ასოცირებული პროფესორი
4	თათია ჩიხლაძე	შპს ბრიტანულის სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი
5	თინათინ ქაროსანიძე	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ისტორიის დოქტორი, საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის დეკანი, პროფესორი
6	თამარ კიკნაძე	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგნმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
7	ვახტანგ მაისაია	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, „საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო და „გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი
8	სოფო ჩქოფოია	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	სოციალური მეცნიერებების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
9	გიორგი ცხადაია	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	პოლიტიკის და სოციალური მეცნიერებათა დოქტორი,

			სახელმწიფო მართვის სკოლის ასოცირებული პროფესორი
10	ირაკლი ჯავახიშვილი	შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
11	ბელა კოპალიანი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, სპეციალისტი სამეცნიერო კვლევების ორგანიზება-კოორდინირების დარგში იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის მოადგილე
12	ალექსანდრე რუსეცკი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფსორი, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
13	თორნიკე შურღულაია	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ისტორიის დოქტორი, პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელი,
14	მაია მანჩხაშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
15	რევაზ ჯორბენაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ფაკულტეტის

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
16	გიორგი მჭედლიშვილი	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
17	ნინო ოხანაშვილი	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
18	ომარ არდაშელია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ისტორიის დოქტორი, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პროფესორი
19	დავით ზაქარაია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოსოფიის დოქტორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულების ასისტენტ-პროფესორი
20	ნინო ჩიქოვანი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ისტორიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი, ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის ხელმძღვანელი, კულტურის მეცნიერებების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმღვანელი
21	ვასილ კაჭარავა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ვასილ კაჭარავა - ისტორიის დოქტორი, ამერიკისმცოდნეობის მიმართულების პროფესორი, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი, თსუ-ს ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

22	გიორგი გოგსაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორი
23	ნინო ფარსადანიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საერთაშორისო სამართლის დოქტორი, მიგრაციის ექსპერტი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო ოფისის კოორდინატორი
24	მარიამ გერსამია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების პროფესორი
25	ემილია ალავერდოვი	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
26	ნინო ბერიკაშვილი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
27	ირაკლი სვანაძე	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განვითარებისა და კოორდინაციის სამმართველოს სპეციალური კონკურსების ორგანიზებისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი
28	ვიქტორია ბაიკოვა	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

29	იოსებ ჯაფარიძე	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელი
30	თამარ იმნაიშვილი	სსიპ - საქართველოს მედიატორთა ასოციაცია	აღმასრულებელი მდივანი

7.2. გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	გუგული მაღრაძე	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი - სამუშაო ჯგუფის წევრი
2	რევაზ ჯორბენაძე	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი - სამუშაო ჯგუფის წევრი
3	ზურაბ აბაშიძე	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი - სამუშაო ჯგუფის წევრი
4	ვახტანგ მაისაია	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი - სამუშაო ჯგუფის წევრი
5	მარეხ დევიძე	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგი, კონფლიქტების ანალიზის და მართვის პროგრამის დოქტორანტი - სამუშაო ჯგუფის წევრი
6	ლაშა ტუღუში	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი - სამუშაო ჯგუფის წევრი

7	გურამ ანანიაშვილი	შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი (საბაუნი)	მოწვეული ლექტორი, კონფლიქტოლოგიის მაგისტრი - სამუშაო ჯგუფის წევრი
8	ლია გიგაური	შერიგებისა და სამოქალაქო თანხმობის საკითხებში საქართველის სახელმწიფო მინისტრის აპარატი	მინისტრის მრჩეველი - სამუშაო ჯგუფის წევრი